*შეთანხმების აქტი*

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ირის ბორჩაშვილს შორის 2009 წლის 1 აპრილს გაფორმებულ N1-2448 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ*

*ქ. ბათუმი* *"25.04" 2014 წელი*

*ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში „გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის გელა ცინცაძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 25 აპრილის 2014 წლის N№-201 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, და მეორე მხრივ, ირის ბორჩაშვილი (შემდგომში „მყიდველი"), ვხელმძღვანელობთ რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 17.04.2014 წლის N61 განკარგულებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 17.04.2014 წლის N100 ბრძანებით, წინამდებარე შეთანხმებას ვდებთ შემდეგზე:*

*1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ირის ბორჩაშვილს შორის 2009 წლის 1 აპრილს გაფორმებულ N1-2448 ხელშეკრულებაში (შემდგომში – „ხელშეკრულება") შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:*

***ა) ხელშეკრულების 3.2 მუხლის „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:***

*„ ბ) განახორციელოს შემდეგი საინვესტიციო პროექტები:*

*ბ.ა. 2010 წლის 1 ივნისამდე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ს. შარაბიძეებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 22.26.05.004) აამოქმედოს არანაკლებ 120 (ასოცი) საწოლიანი მაღალტექნოლოგიური, მრავალპროფილური საავადმყოფო მაღალი დიაგნოსტიკური შესაძლებლობებით, სადაც შექმნას არანაკლებ 250 (ორასორმოცდაათი) სამუშაო ადგილი. აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის განახორციელოს არანაკლებ 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარის ინვესტიცია;*

*ბ.ბ. 2011 წლის 31 დეკემბრამდე ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.22.26.001) მოაწყოს თანამედროვე ტიპის სასტუმრო, არანაკლებ 32 (ოცდათორმეტი) ნომრით, სადაც შექმნას არანაკლებ 40 (ორმოცი) სამუშაო ადგილი. აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის განახორციელოს არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტიცია;*

*ბ.გ. 2017 წლის 1 ივლისამდე ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N37-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.22.51.006) ააშენოს და ექსპლუატაციაში შეიყვანოს საცხოვრებელი სახლი და უზრუნველყოს სკვერის მოწყობა შემდეგი გრაფიკის მიხედვით:*

*- 2014 წლის 1 აგვისტომდე დაიწყოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და 2015 წლის 1 მარტამდე დაასრულოს საცხვორებელი სახლის მშენებლობის ნულოვანი ნიშნული;*

*- 2016 წლის 1 ივლისამდე დაასრულოს მზიდი კონსტრუქციების მშენებლობა;*

*- საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებიდან 3 (სამი) თვის ვადაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მომავალი საკუთრების უფლებით გადასცეს არანაკლებ 400 (ოთხასი) კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინები, თითოეული ბინის ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 30 კვ.მ და არაუმეტეს 70 კვ.მ), ხოლო უფლებამოსილი ორგანოს მიერ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ჩააბაროს აღნიშნული ფართის ბინები, რომლებშიც მოწყობილი იქნება შიდა ტიხრები, აივნებზე მეტლახი, წყალმომარაგების და წყალარინების (კანალიზაციის) ძირითადი/ცენტრალური დგარები, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები ორმაგი შუშით, ბინაში შესასვლელი ლითონის კარი და ელექტროენერგიის ძირითადი გამანაწილებელი*

აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის განახორციელოს არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიცია.“

**ბ) ხელშეკრულების 4.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"გ. ხელშეკრულების სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ყოველ დარღვევაზე ქონების ღირებულების (1 050 000 ლარი) 0,05%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე."

**გ) ხელშეკრულების 4.4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4.4 გამყიდველის მიერ ხელშეკრულების 4.3 მუხლით მინიჭებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, მყიდველი კარგავს საკუთრების უფლებას ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N37-ში მდებარე (ს/კ 05.22.51.006) მიწის ნაკვეთზე. ამ შემთხვევაში გამყიდველს არ აუნაზღაურდება აღნიშნულ ქონებაზე გაწეული ხარჯები და გადახდილი საზღაური. ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება(ები) უქმდება, თუკი იპოთეკით ქონების დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულებ(ებ)ის ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია."

**დ) ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნას 4.5 მუხლი.**

2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

3. შეთანხმების აქტი შედგენილია 3 ეგზემპლარად, თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, და წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შეთანხმება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

დანართი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 17.04.2014 წ. N61 განკარგულება;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 17.04.2014 წლის N100 გრძანება;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 25 აპრილის 2014 წლის N\ს-201 გრძანება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ირის ბორჩაშვილს შორის 2009 წლის 1 აპრილს გაფორმებულ N1-2448 ხელშეკრულების ასლი.

„გამყიდველი“

„მყიდველი“